ნინო ლაბარტყავა
დაწყებითი განათლების ექსპერტ-კონსულტანტი
სსიპ „მასწავლებელთა პროფესიული განვითარების
ეროვნული ცენტრი“

მასტერკლასი დაწყებით განათლებაში:
„განმავითარებელი შეფასების გამოყენება
განათლების დაწყებით საფეხურზე“

გთავაზობთ 4 საათიან მასტერ-კლასს, რომელიც განკუთვნილია განათლების დაწყებითი საფეხურის ოთხწლედის (წამყვანი, უფროსი და პრაქტიკოსი) მასწავლებლებისათვის.

მასტერკლასზე წარმოდგენილი და განხილული იქნება შემდეგი **საკითხები:**

- განმავითარებელი შეფასების მნიშვნელობა;
- სასწავლო მიზნების ფორმულირება;
- შეფასების მეთოდები;
- შეფასების კრიტერიუმები;
- დავალებათა დიფერენცირება;
- გაკვეთილის სიმულაცია;
- განმავითარებელი შეფასების საშუალებები.

მასტერ-კლასის შედეგად:

მასწავლებლები შეძლებენ: გაკვეთილის მიზნების დასახვას, შეფასების კრიტერიუმების ფორმირებას, კრიტერიუმებზე დაყრდნობით ეფექტური კომენტარის დართვას, მიღებული შედეგებიდან გამომდინარე დავალებათა დიფერენცირებას, აღრიცხვის ჟურნალის წარმოებას.

ნინო ლაბარტყავა
დაწყებითი განათლების ექსპერტ-კონსულტანტი
სსიპ „მასწავლებელთა პროფესიული განვითარების
ეროვნული ცენტრი“

მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი.

მუხლი 9.

1. მასწავლებელი იყენებს შეფასების სხვადასხვა ტიპსა და მეთოდს, სკოლის მიერ შემუშავებულ შეფასების სქემებსა და რუბრიკებს.
2. სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად იყენებს მოსწავლეთა შედეგების ანალიზის საფუძველზე შემუშავებულ რეკომენდაციებს. .

მუხლი 13[2].

1. მასწავლებელი აანალიზებს შეფასების ტიპებისა და მეთოდების დადებით მხარეებს, რისკფაქტორებს; ქმნის შეფასების სქემებს, რუბრიკებს კლასისა და მოსწავლეების საჭიროებების გათვალისწინებით;
2. სასწავლო პროცესისა და მოსწავლეთა მიღწევების გაუმჯობესების მიზნით, აანალიზებს შეფასების შედეგებს.